ქვეპროგრამის აღწერა	სპორტულ გაერთიანებაში ფუნქციონირებს 10 სპორტის მიმართულება, ესენია: ძიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა, ქალთა ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, კრივი, ჭადრაკი, მკლავჭიდი, ტანვარჯიში. სპორტულ გაერთიანებაში სპორტის სახეობებს ეუფლება 530-მდე ბავშვი, აქედან 123 გოგონა. გაერთიანებაში დასაქმებულია ს უ ლ 62 თანამშრომელი, მათ შორის 22 ქალი, 11 ადმინისტრაციული პერსონალია, 35 მწვრთნელ-მასწავლებელი, 16 ტექნიკური თანამშრომელი. მომავალ წელს გაერთიანება შეუფერხებლად იფუნქციონირებს. მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა; იგეგმება ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. სპორტულ სექციებში გაერთიანებულ აღსაზრდელებს სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 2-ჯერ, 3-ჯერ - 5 ჯერ, პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით და მის გარეთ. აღსაზრდელების და მათი მშობლების მოთხოვნით დამატა ტანვარჯიშის წრე : მხატვრული ტანვარჯიში და ტანვარჯიში სპორტულ აკრობატიკაში. ასევე მშობლების და აღსაზრდელების მოთხოვნაა და მომავალში იგეგმება სპორტის სხვადასხვა სახეობების დამატება, კერძოდ: კარატე, კალათბურთი, ფრენბურთი. საჭიროა სპორტული დარბაზების აღჭურვა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სპორტგაერთიანება გამართულად ფუნქციონირებს მთელი წლის მანძილზე და გაზრდილია მოზარდებისათვის ხელმისაწვდომობა სპორტული წრეებით სარგებლობის.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა- ა(ა)იპ. რაგბის კლუბი ვეფხვები</b>	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 03		<b>374,1</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ რაგბის კლუბი ვეფხვები		
ქვეპროგრამის აღწერა	რაგბის კლუბში ირიცხება 120 ბავშვი, სამომავლოდ გვინდა ამ ნიშნულის გაორმაგება, ამისთვის დაგეგმილი გვაქვს სკოლებში ვიზიტები და სხვადასხვა ღონისძიებები. ბავშვთა გაზრდილ რაოდენობას დასჭირდება კვალიფიციური მწვრთნელები, რაზეც ასევე ვაპირებთ ზრუნვას, რაგბის განვითარების ჯგუფთან ერთად იგეგმება ადგილობრივი მწვრთნელების გადამზადება. ეს ყოველივე გრძელვადიან პერსპექტივაში მოგვცემს საშუალებას დიდი გუნდის შემადგენლობაში გვყავდეს 90-95% ადგილობრივი მოთამაშე, რომელსაც ექნებათ შესაბამისი ანაზღაურება და უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სავარჯიშო პირობებით. კლუბში დასაქმებულია სულ 18 თანამშრომელი, მათ შორის 4 ქალია.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფილი მოთამაშეები დიდი გუნდის რიგებში, ასკობრივ გუნდებში ბავშვთა რაოდენობის ზრდა, სავარჯიშო პირობების გაუმჯობესება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა-შპს საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი</b>	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 04		<b>316,5</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი გარეჯი		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდების და მოზარდების დაინტერესებას ფეხბურთით, ვინაიდან საფეხბურთო კლუბში გაიზარდა სხვადასხვა ასაკის ბავშვების რაოდენობა წინა წლებთან შედარებით, საჭიროა მწვრთნელების დამატება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება, რათა უკეთ მოხდეს ბავშვების დაოსტატება, კარგად აღჭურვილი სპორტული ბაზა ხელს შეუწყობს ბავშვებს მიიღონ მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონატებში, შეჯიბრებებსა და ტურნირებში, გამოცდილების შეძენით შესაძლებლობა ექნებათ მაღალი შედეგის მიღწევას. კლუბში დასაქმებულია სულ 16 თანამშრომელი, მათ შორის 3 ქალია, ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას ემსახურება 9 მწვრთნელი.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა.საფეხბურთო ტრადიციების აღორძინება.ქართული ფეხბურთის პოპულარიზაცია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>სპორტული ღონისძიებები</b>	2023 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 02		<b>100,0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: ჯანსაღი ცხოვრების წესის და სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; სპორტსმენთა წამახალისებელი ჯილდოების გაცემა (მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით, ფულადი ჯილდოს გაცემის წესით“). მუნიციპალიტეტში სპორტი არის პრიორიტეტული მიმართულება, რაც გამოიხატება მერიის და შესაბამისი სამსახურის მიერ სპორტის განვითარების ხელშეწყობით. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ტარდება სხვადასხვა სპორტული აქტივობები, რაც ძალიან პოპულარულია მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობაში, საზოგადოებაში. წლის განმავლობაში, სპორტული ღონისძიებების ხარჯებიდან, სპორტსმენებს უფინანსდება გზის და სამივილიონო ხარჯები, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებზე. ყოველწლიურად ტარდება სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა გუნდები; თამაშების ორგანიზებას და გამარჯვებული სკოლების ტრანსპორტირებას რეგიონულ და რესპუბლიკურ თამაშებზე უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერია. ქვეპროგრამის მიზნები შეესაბამება გარეჯოს მდგრადი განვითარების N3 და N5 მიზნებს.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ჯანსაღი ცხოვრების წესის და სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება.მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ სპორტული ღონისძიებებში გაზრდილია ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>სპორტული ობიექტების აღჭურვა,რეაბილიტაცია,მშენებლობა</b>	2023 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 03		<b>89.8</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს არსებული სპორტული მოედნების და დარბაზების რეაბილიტაციას, შეკეთებას და ახლის მშენებლობას, ტრენაჟორების მოწყობას, 2023 წელს განსახორციელებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის ხარჯს. ქ.საგარეჯოში ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე მინი სტადიონის მოწყობა.პროგრამა ფინანსდება როგორც ადგილობრივი ისე სახელწიფო დაფინანსებით.		

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მოწყობილია თანამედროვე , კარგად აღჭურვილი სპორტული მოედნები და ტრენაჟორები.
---	---

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02		1516,5
პროგრამის განმახორციელებელი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის მეშვეობით განხორციელდება კულტურის პოპულარიზაცია და გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა, დაცული იქნება თვითგამოხატვის მრავალფეროვნება, ადგილობრივ ხელოვნებს მიეცემათ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება, უზრუნველყოფილი იქნება კულტურულ ცხოვრებაში შშმ პირთა და ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობა, საზოგადოების ტრადიციული ღირებულებების დაცვა და სხვადასხვა კულტურის შეუზღუდავი თვითგამოხატვისა და კულტურათა შორის დიალოგის გაღრმავება.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქალაქში კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება ხელშეწყობილია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა- ა(ა)იპ „საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა“	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		249,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - საგარეჯოს ჯ.ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი დაწყებითი სამუსიკო განათლების 1 სკოლა, სამუსიკო სკოლაში ხორციელდება დაწყებითი საფორტეპიანო სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამა; სამუსიკო სკოლაში მომდევნო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. სამუსიკო სკოლაში მიღება თავისუფალია მოზარდთათვის 6 წლის ასაკიდან. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში. სკოლაში დასაქმებულია 20 თანამშრომელი, მათ შორის 18 ქალია, 2 მამაკაცია-ტექპერსონალი.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლების შეუფერხებლად ფუნქციონირებს. გაზრდილია მოსწავლეთა რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა- ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		947,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა.ი.პ. კულტურის ობიექტების გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გაერთიანების ადმინისტრაცია, კულტურის სახლი , ტექნიკური სამსახური , საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ,გიორგი ლეონიძის სახლ.მუზეუმი , ცენტრალური ბიბლიოთეკა , სამი სასოფლო ბიბლიოთეკა , ხუთი- სასოფლო კლუბი,მჭედლიშვილის სახელობის ხალხური სიმღერის და საგალობლების სახელოსნო, ანსამბლი „ბერიკაცები“ ,ვოკალური ანსამბლი, უდაბნოს ქორეოგრაფი,ხელოვნების სკოლა.სულ დასაქმებულია გაერთიანებაში 120 თანამშრომელი, მათ შორის 76 ქალბატონია. 2023 წელს განხორციელდება 2 პრემიერა და 1 ძველი სპექტაკლი, ასევე თოჯინების თეატრში დაიდგმება 2 ახალი სპექტაკლი, მოეწყობა სახალხო დღესასწაულები("ბერიკაობა, გოგლაობა, ვაჟაობა,		

	რეზოლუცია, სხვადასხვა ღონისძიებები( ქალთა დღისადმი,სახალწლო,საგამოფენო, ლიტერატორების შემოქმედებითი საღამოები და ა.შ.)
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. ხელშეწყობილია კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>კულტურის ობიექტების აღჭურვა - რეაბილიტაცია, მშენებლობა</b>	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		<b>177,0</b>

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის, ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობების და საერთაშორისო პროექტების განყოფილება.
--	---

ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; 2023 წელს დაგეგმილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის შემდეგი პროექტების შესყიდვას: 1. ნინოწმინდის წმინდა ნინოს სამონასტრო კომპლექსი (ჩრდილოეთის კოშკი, გალავნის დაზიანებული ნაწილი და ეზოში მდებარე ძველი ეკლესიის სახურავი); 2. პატარძელის „ბილანიშვილების კოშკი“; 3. გომბორის საფეხმავლო ხიდი (საბავშვო ბაღთან). აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ტურისტული ბაზრის ცნობადობის და ტურისტების რაოდენობის ზრდის თვალსაზრისით ქვეპროგრამაში 2023 წელს გამოყოფილია 127 ათასი ლარი შემდეგ ტურისტულ ღონისძიებებზე: საინფორმაციო ფლაერებისა და ბუკლეტების დამზადება, საინფორმაციო ცენტრის შექმნა, მონაცემთა ბაზრის დიფერენცირება (განახლება); საინფორმაციო დაფების განთავსება; ცნობადობის ამალღების მიზნით საინფორმაციო და მედიაკამპანიების დაგეგმვა; აგრო ტურიზმი, ეთნოტურიზმი, ეკოტურიზმი, ღვინის ტურიზმის განვითარება; საგარეო კურსის განვითარება, საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა და სტრატეგიულ პარტნიორებთან თანამშრომლობა (პოლონეთი, ესპანეთი, ჰოლანდია); ფესტივალებისა და სხვადასხვა ტურისტული - კალენდარული ღონისძიებების განხორციელება; ზამთრის ტური -იანვარი-თებერვალი, ცივ-კოდის ტერიტორიაზე საფეხმავლო და საცხენოსნო ტურის მოწყობა; ბანერები გზატკეცილზე; "მე მიყვარს საგარეჯო"; ნუშის ყვავილობა მლაშე ტბა - ფოტო ტური უდაბნოს მისადგომებთან; მედია ტური „ღვინის გზა“- შატოებისა და მარნების მონახულება; "გარეჯობა"; გიდეებისა და ინფო ტური; ეკოტური - ჩირის ქარხნის ტერიტორიის დათვალიერება და მონახულება მდგრადი ენერჯეტიკის კვირეულის ფარგლებში; უდაბნოს მუსიკალური ფესტივალი; ვაზის სამშობლო-ტური ხაშში და მანავში (საფერავისა და მანავის მწვანეს ჯიშების გაცნობა); ყველის ფესტივალი უდაბნოში; მწვადისა და ღვინის ფესტივალი; მთის ფესტივალი; ტრენინგი-გადამზადება მცირე და საშუალო მეწარმეების, ტრენინგის მოწვევა; კონკურსი-ადმოჩინე საგარეჯო (ახალი ტურისტული ლოკაციების აღმოჩენისა პოპულარიზაციის მიზნით); ვიდეორგოლი „ეს საგარეჯოა“; მანავის ციხის მიმდებარე მუდმივი ფანჩატურების მოწყობა და მანავციხეობის დღესასწაულის მოწყობა; საგარეჯოს ცენტრალურ მოედანზე შემინული, განათებული სტენდების მოწყობა „საგარეჯოს წარსული და აწმყო“; ბრენდირებული სუვენირების წინასწარ მომზადება, კალმები, ჭიქები, მაგნიტენი, CD დისკი-ადგილობრივი ანსამბლების სიმღერები, ვიდეორგოლი ტურისტული ობიექტების, ცენტრალურ უბნებში მოსაცდელის QRკოდებით აღჭურვა და განათება, ელექტრო დამტენები, საგარეჯოს რუკების დამონტაჟება, მარიაძვერის შეფუთვა- მოსაცდელი, ფანჩატური, საპირფარეო, ურნა, საინფორმაციო დაფა.</p>
---------------------	---

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება. რეაბილიტირებული კულტურის ობიექტები, გაზრდილი ცნობადობა ადგილობრივი ტურისტული ობიექტების და პოტენციალის შესახებ.
---	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>კულტურული ღონისძიებები</b>	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		<b>142,0</b>

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
--	---

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების ჩატარებას, კერძოდ: სახალხო დღესასწაული „გარეჯობა“, სახალხო ღონისძიებები, ფოტოკონკურსი (მოყვარულები), „საგარეჯოს ფესტივალი“, პროექტი „მემკვიდრეობა“, ქართული სიმღერის კონკურს-ფესტივალი „სხვა საქართველო სად არის“, ქართული ზენდის კონცერტი; მასწავლებლის საერთაშორისო დღე, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების წახალისებას; ლიტერატურული კონკურსი თემა რევაზ ინანიშვილის შემოქმედება და ბიოგრაფია; გამოფენა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, თელავის კლასიკური მუსიკის ფესტივალი „ადგომიდან ამდღემამდე“ (თანადაფინანსება), გაზეთი „გურჯისტანის“ შექმნა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოსახლეობისთვის, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას. პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, რის შედეგადაც გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია. ქვეპროგრამის მიზნები შეესაბამება გეროს მდგრადი განვითარების N3 და N5 მიზნებს.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამით გათვალისწინებული კულტურული ღონისძიებების სრულყოფილად განხორციელება, მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა.		
პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 03		100,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამაში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფების (ეთნიკური უმცირესობა, სოციალურად დაუცველები, ეკომიგრანტები, შშმ პირები) საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, წარმატებული და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, წახალისება, თავისუფალი დროის სწორად გამოყენება. პროგრამის მიზნები შეესაბამება გეროს მდგრადი განვითარების N 3 და N 5 მიზნებს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი პროექტები:</p> <p>ტრანსპორტით მომსახურება - გეგმიური, ახალგაზრდობის საინიციატივო ჯგუფების, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების და სხვა ინიცირებული ღონისძიებების მონაწილეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა; "მხიარულთა და საზრიანთა კლუბის" თამაშები; შშმ პირთა სპორტულ ფესტივალში მონაწილეობის უზრუნველყოფა; დებატები; ლიტერატურული კონკურსები "ნატურის ხე" და „მირნდუხტი“; სემინარები (რამდენიმე ეტაპად) პროფესიული ორიენტაცია, კარიერის დაგეგმვა; ახალგაზრდული ბანაკები; 3 დეკემბერი - შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე; მინი-ფილმების კონკურსი; ფოტო-კონკურსი "დაიჭირე წამი; თოჯინების თეატრი სოფლებში; ქალაქობანა; მეგობრობის დღე (ეთნიკური უმცირესობები); "რა? სად? როდის?"; ახალგაზრდული იდეა ყველა სოფელს; ფერების ფესტივალი; ქუჩის ხელოვნება - გრაფიტი (მოხატვა ერთ-ერთი მთავარი კედლის); ძეგლების მაკეტები; ახალგაზრდა პოეტებთან შეხვედრა; შეხვედრა ფსიქოლოგთან; თეატრი (ღია ცის ქვეშ); კონკურსი ახალგაზრდული ლოგოს შექმნაზე; 18 მაისი, ეროვნული სამოსის დღე; ფოტო-კონკურსი; ახალგაზრდული ფესტივალი; ახალგაზრდული საბჭოს ინიციატივების მხარდაჭერა; ნაყინის ფესტივალი.</p>		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდობისთვის შესაბამისი უზრუნველყოფილი გარემო, საზოგადოებაში ინტეგრირებული შშმ პირები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საგამომცემლო საქმიანობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 04		53,7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	შ.პ.ს. "საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი გარეჯის მაცნე"		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ საინფორმაციო გაზეთის გამოცემა, რომლის საშუალებით მოსახლეობას პერიოდულად (თვეში ორჯერ) მიწოდდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ. პრობლემა არის შემოქმედი მუშაკის, გაზეთის კორექტორის და გაზეთის დისტრიბუტორის შტატის არ ქონა. აღნიშნული შტატების დამატებით გაუმჯობესდება ინფორმაციის ოპერატიული მოძიება და გაზეთის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ფართოდ გავრცელება და გაადვილდება მოსახლეობისათვის გაზეთის ხელმისაწვდომობა. შ.პ.ს. -ში დასაქმებულია 5 თანამშრომელი, მათ შორის 3 ქალი.</p>		

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია გაზეთის ტირაჟი, მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაციები მიმდინარე სიახლეებზე.
--	--

## მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2176,6 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	ათას ლარში 2023 წლის პროექტი
<b>06 00</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>2,176.6</b>
<b>06 01</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>275.0</b>
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	168.4
06 01 02	სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	106.6
<b>06 02</b>	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>1,901.6</b>
06 02 01	სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვთა დახმარების პროგრამა	248.6
06 02 01 01	პირველი და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა	14.0
06 02 01 02	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	60.0
06 02 01 03	ბავშვთა კვების პროგრამის დაფინანსება	20.0
06 02 01 04	უდედმამო ბავშვების დახმარების პროგრამა	23.8
06 02 01 05	შშმ 18 წლამდე ბავშვთა დახმარების პროგრამა	49.8
06 02 01 06	შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	60.0
06 02 01 07	მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების დახმარების პროგრამა	6.0
06 02 01 08	რეინტეგრირებული ოჯახების ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა	5.0
06 02 01 09	სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საყოფაცხოვრებო აუცილებელი ტექნიკის შეძენა	10.0
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	842.8
06 02 02 01	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	310.0
06 02 02 02	მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა	240.0
06 02 02 03	ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარების პროგრამა	232.0
06 02 02 04	ბიკარბონატიული ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა	60.8
06 02 03	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	420.0
06 02 03 01	ელექტროენერჯის და გაზის გადასახადის დაფინანსების პროგრამა	56.0
06 02 03 02	მოწყვლადი ჯგუფების გათბობის ხარჯით დახმარების პროგრამა	120.0
06 02 03 03	სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისათვის საკვების გაცემა დღესასწაულებზე	180.0
06 02 03 04	მოსახლეობის ტრანსპორტირების პროგრამა	25.0
06 02 03 05	ხანდაზმულ (95 და მეტი წლის) პირთა დახმარების პროგრამა	6.0
06 02 03 06	უპატრონო და სოციალურად დაუცველი მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	18.0

06 02 03 07	სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ ფართებში მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა	15.0
06 02 04	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	40.0
06 02 05	უმწეოთათვის უფასო სასადილოების დაფინანსება	304.6
06 02 06	ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	10.0
06 06 07	წითელი ჯვრის დაფინანსების პროგრამა	15.8
06 06 08	სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის დაფინანსება	18.0
06 06 09	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	1.8

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის დაცვა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01		<b>275.0</b>
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და მშენებლობა.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		168.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა) იპ საგარეჯოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერიდან დელეგირებული „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის როგორცაა: 1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა), (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი) , 2. იმუნიზაცია, 3.ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა, 4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, 5. „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა“ , სახელმწიფო პროგრამის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის“ კომპონენტით გასაწევი მომსახურების ვალდებულებას. ადგილობრივი ბიუჯეტი დაფინანსდება ცე-ჰეპატიტის. შიდსის და ტუბერკულოზის მუნიციპალური ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამა. ა.ა.ი.პ.-ში დასაქმებულია 13 თანამშრომელი, მათ შორის 11 ქალია, 2 მამაკაცია ტექპერსონალი.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01 02		106,6

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია ყოველთვე უზღის ხელფასს ექიმს(ქალია) ,რათა მან გაუწიოს ადგილზე სამედიცინო მომსახურება სოფელ უდაბნოს მოქალაქეებს. რეაბილიტაციის ქვეპროგრამა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან, 2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის ავტომობილის და ინვენტარის შესყიდვა.
მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია სოფელ უდაბნოს მოქალაქეებმა ადგილზე ისარგებლონ სამედიცინო მომსახურებით. მოსახლეობა კმაყოფილია ექიმის ადგილზე მომსახურებით თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ სოფლის ამბულატორიებში

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>სოციალური დაცვა</b>	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02		<b>1901,6</b>
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების ხელშეწყობა და სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>პირველ და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა</b>	დაფინანსება ათას ლარებში 2023 წლის
	06 02 01 01		14.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე ოჯახებში ახალდაბადებული ბავშვების დახმარება ერთჯერადად 450 ლარის, ხოლო სხვა დასახლებაში მცხოვრები ბენეფიციარებისთვის 400 ლარის ოდენობით. (დახმარების მიმღებია პირველი და მეორე შვილი, ტყუპების შეძენის შემთხვევაში დახმარებით ისარგებლებს ორივე ტყუპისცალი.) დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 000-ის ჩათვლით.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დემოგრაფიული მდგომარეობა-შობადობა გაუმჯობესებულია მატერიალური წახალისების გზით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა</b>	დაფინანსება ათას ლარში 2023 წელს
	06 02 01 02		<b>60,0</b>
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მრავალშვილიან ოჯახებს მიეცემათ ერთჯერადი 400 ლარიანი დახმარება, რომელსაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი და ორი მაინც არის 18 წლამდე ასაკის, ხოლო ყოველ მომდევნო შვილზე დახმარება განისაზღვრება დამატებით 100 ლარით. დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 000-ის ჩათვლით.		



ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება შობადობის მატერიალური წახალისების გზით.
---	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვთა კვების პროგრამის დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარებში 2023 წელს
	06 02 01 03		20.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	სიღარიბის ზღვარს მიღმა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის ერთ წლამდე ასაკის ბავშვებს, რომელთა სიცოცხლეს და ნორმალურ ზრდა განვითარებას მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო ემუქრება საფრთხე ყოველთვიურად კვების პროგრამა დაუფინანსდებოდა 150 ლარამდე თანხით. ფენილკეტონურიით ან სხვა იშვიათი დაავადების მქონე პირთა და შშმ პირთა სპეციალიზირებული საკვები დანამატებით დახმარებისთვის ლიმიტის ამოწურვამდე გაიცემა 500 ლარამდე თანხა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ბავშვთა სოციალური დაცვა და აუცილებელი საკვები დანამატებით უზრუნველყოფა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უღედემამო ბავშვების დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში 2023 წელს
	06 02 01 04		23.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ა) უღედემამო 18 წლამდე ბავშვებზე დახმარების გაცემა 100 ლარის ოდენობით ყოველთვიურად მთელი წლის განმავლობაში; ბ) დედით ან მამით ობოლ 18 წლამდე ბავშვებზე დახმარების გაცემა ერთჯერადად 300 ლარის ოდენობით, დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 000-ის ჩათვლით.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დედამამთ ობოლ ბავშვთა საჭიროებების გათვალისწინება და მათი ფინანსური თანადგომა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შშმ 18 წლამდე ბავშვთა დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში 2023 წელს
	06 02 01 05		49,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ბავშვთა დახმარება, დახმარების გაცემა მოხდება 50 ლარის ოდენობით ყოველთვიურად.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ოჯახების ფინანსური შესაძლებლობების გაზრდა და სოციალური დაცვა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>შპმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა</b>	დაფინანსება ათას ლარში 2023 წელს
	06 02 01 06		60.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და 18 წლამდე ბავშვთა, აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა რეაბილიტაციის თანხის დაფინანსება 500-დან - 1000 ლარამდე;</p> <p>ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და 18 წლამდე მოზარდების სანატორიულ-კურორტული და ბალნეოლოგიური მომსახურების დაფინანსება 500 ლარამდე თანხით. დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 120 000-ის ჩათვლით პროგრამის მოსარგებლებზე ერთი კალენდარული წლის განმავლობაში გაიცემა ერთი დახმარება. სერვისის მიწოდებისთვის ასანაზღაურებელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს საკურორტო მომსახურების ღირებულებას;</p> <p>გ) სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვთა სამკურნალო რეაბილიტაცია - დაფინანსება 400 ლარით. დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 000-ის ჩათვლით;</p> <p>დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარების გაცემა მოხდება 100 ლარის ოდენობით ყოველთვიურად;</p> <p>ე) სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის მიმწოდებელი ააიპ რეაბილიტაციის ცენტრი „სინერჯია 2019“ -ის კომუნალური ხარჯები დაფინანსდება 2000 ლარით;</p> <p>ზ) სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბავშვთა ქვეპროგრამის მიმწოდებლად რეგისტრირებული ააიპ გეორგიანელის ტრანსპორტირების ხარჯების დაფინანსდება 20000 ლარით.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების დახმარების პროგრამა</b>	დაფინანსება ათას ლარებში 2023 წელს
	06 02 01 07		6.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების ერთჯერადი 300 ლარიანი დახმარება, დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 000-ის ჩათვლით.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>რეინტეგრირებული ოჯახების ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა</b>	დაფინანსება ათას ლარში 2023 წელს
	06 02 01 08		5,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა	<p>ა) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებზე, რომლებზეც განხორციელდება რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, მათ ოჯახებს გაეწევა ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით,</p> <p>ბ) სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული ახალგაზრდების ფინანსური დახმარება შესაბამისი ორგანოდან მოთხოვნილი ინფორმაციის საფუძველზე ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინებით;</p> <p>გ) ქალათა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური დახმარება;</p> <p>დ) ოჯახების დახმარება, რომელთაც ჰყავთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირი ან პირები და შეუწყდათ საარსებო შემწობა განმეორებით გადამოწმების შედეგად;</p> <p>ე) თვითმართველობის სოციალური მუშაკის მიერ შესწავლილი ოჯახების გაძლიერება, ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე და ფულადი დახმარების გაცემა სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე.</p>
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება, სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული ახალგაზრდების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა და მარტოხელა შეჭირვებულთა ოჯახების თანადგომა.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საყოფაცხოვრებო აუცილებელი ტექნიკის შეძენა	დაფინანსება ათას ლარში 2023 წელს
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	06 02 01 09		10,0
ქვეპროგრამის აღწერა	<p>სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა. ერთ ოჯახზე არაუმეტეს 700 ლარისა. დახმარების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი კომისია, რაც დამოკიდებულია ბენეფიციარის სოციალურ-ეკონომიკურ და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 70 000--ის ჩათვლით.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სოციალურად დაუცველი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში 2023 წელს
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	06 02 02 01		310.0
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 100 000 დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ვეტერანების, 9 აპრილს დაზარალებული, დევნილი პირების, ასაკით პენსიონერი პირების და მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირების, გულ-სისხლძარღვთა დაავადების მქონე პირების სტაციონარული, ამბულატორიული მკურნალობის და ოპერაციების დაფინანსება ან/და თანადაფინანსება განისაზღვრება მოთხოვნილი თანხის 80 %-ით არაუმეტეს 1000 ლარისა. აღნიშნული სამიზნე ჯგუფებისთვის 500 ლარამდე მოთხოვნილი თანხა დაფინანსდება სრულად, ხოლო 18 წლამდე ბავშვთა სამიზნე ჯგუფებისათვის 600 ლარამდე მოთხოვნილი თანხა დაფინანსდება სრულად.</p> <p>ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარების სტაციონარული, ამბულატორიული მკურნალობის და ოპერაციების დაფინანსება ან/და თანადაფინანსება განისაზღვრება მოთხოვნილი თანხის 90%-ით არაუმეტეს 1000 ლარისა, ხოლო 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პირებს, რომლებიც ამავდროულად არიან ასაკით პენსიონერი ან შშმ პირის სტატუსის მქონე, ასევე 120 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე 16 წლამდე ბავშვს,</p>		

	<p>სამკურნალო საოპერაციო 1500 ლარამდე მოთხოვნილი თანხა დაუფინანსდება 100% ით. აღნიშნულ პირებს სადიაგნოსტიკო კვლევების თანხა 1000 ლარამდე დაუფინანსდება ასევე 100 %-ით.</p> <p>ბ. ა) მე -5 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, თანაგადახდის მოცულობა ბენეფიციარის მხრიდან თუ აჭარბებს 3000 ლარს, დახმარება გაეწევა ერთჯერადად 1500 ლარის ოდენობით, ხოლო თუ თანაგადახდის მოცულობა ბენეფიციარის მხრიდან აჭარბებს 4000 ლარს დახმარება გაეწევა ერთჯერადად 2000 ლარის ოდენობით. თუ თანაგადახდის მოცულობა ბენეფიციარის მხრიდან აჭარბებს 5000 ლარს დახმარება გაეწევა ერთჯერადად 3000 ლარის ოდენობით.</p> <p>გ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარების, შშმ პირთა, ვეტერანთა, 9 აპრილის დაზარალებულთა, დევნილ პირთა, ასაკით პენსიონერ პირთა, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირთა, გულ-სისხლძარღვთა დაავადების მქონე პირთა, სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული ან სხვა გამოკვლევების დაფინანსება მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის დაფინანსდება 500 ლარამდე სრულად, ხოლო ხუთასი ლარიდან ზევით თანხის 50 %-ით არაუმეტეს 1000 ლარისა.</p> <p>დ) სამედიცინო დამხმარე საშუალებების თანადაფინანსება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება უსინათლოთა ხელჯოხები, ხმოვანი წნევის აპარატები, სოციალურად დაუცველი (100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა) და ონკოლოგიური პაციენტების პროთეზის, ან სხვა დამხმარე სამედიცინო საშუალებების თანხები. ზემოთჩამოთვლილი სამიზნე ჯგუფებისთვის 300 ლარამდე მოთხოვნილი თანხა დაფინანსდება სრულად, სამას ლარზე მეტი თანხის შემთხვევაში, ბენეფიციარი ერთჯერადად დაფინანსდება 500 ლარით. 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ პირთა შაქრის საზომი აპარატის ჩხირების ყოველთვიური დაფინანსება. არაუმეტეს 120 ლარისა. (საჭიროების მიხედვით). 18 წლამდე შშმ ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენური საშუალებების დაფინანსება თვეში არაუმეტეს 50 ლარისა (საჭიროების მიხედვით).</p>
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში 2023 წელს
ქვეპროგრამის დასახელება	06 02 02		240,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ა) ონკოლოგიური დაავადების მქონე ბენეფიციარებს მედიკამენტებით დახმარება გაეწევათ ლიმიტის ამოწურვამდე 1000 ლარამდე თანხით;</p> <p>ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 200 000--ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციართა, შშმ. პირთა, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ და დევნილ პირთა, ვეტერანთა, ასაკით პენსიონერთა, გულ-სისხლძარღვთა დაავადების მქონე და ეპილეფსიით დაავადებულ პირთა, ფენილკეტონურიით ან სხვა იშვიათი დაავადების მქონე პირთა მედიკამენტებით დახმარება ხორციელდება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 300, 500 და 800 ლარამდე თანხით;</p> <p>ბ.ა) ქრონიკულად მიმდინარე და ნაკლებად მიმე დაავადების დიაგნოზის მქონე პირებში მედიკამენტების თანხის ოდენობა წელიწადში ერთჯერადად 300 ლარით განისაზღვრება, ხოლო თუ მედიკამენტების გასაცემი თანხის ოდენობა წელიწადში 500 ლარს შეადგენს თანხა 250-250 ლარის ოდენობით ორჯერადად გაიციმა;</p> <p>ბ.ბ) სიცოცხლისათვის საშიში დაავადებების მქონე ბენეფიციარი ჯანმრთელობის და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მედიკამენტების თანხის ლიმიტი წელიწადში 800 ლარს შეადგენს.გაიციმა ორჯერადად 400-400 ლარის ოდენობით.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობა მედიკამენტების შეძენაზე ფინანსური დახმარების გზით.		

მოსალოდნელი შედეგი	
--------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში 2023 წელს
	06 02 02 03		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ა) ონკოლოგიური ავადმყოფების სტაციონარული, ამბულატორიული მკურნალობის და ოპერაციების დაფინანსება, ამ მკურნალობის შედეგად განვითარებული დაავადებების მკურნალობის დაფინანსება განისაზღვრება მოთხოვნილი თანხის 80%-ით, არაუმეტეს 1500 ლარისა (2000 ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე). ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტების ქიმიოთერაპიის 500 ლარამდე მოთხოვნილი თანხის დაფინანსდება განისაზღვრება სრულად ან და ლიმიტის ამოწურვამდე, თუ ონკოლოგიური ბენეფიციარის მხრიდან თანაგადახდის მოცულობა 3000 ლარს აჭარბებს დახმარება გაეწევა ერთჯერადად 1500 ლარის ოდენობით, თუ თანაგადახდის მოცულობა ბენეფიციარის მხრიდან 3000 ლარს აჭარბებს, დახმარება გაეწევა ერთჯერადად 1500 ლარის ოდენობით, ხოლო თუ თანაგადახდის მოცულობა ბენეფიციარის მხრიდან 4000 ლარს აჭარბებს დახმარება გაეწევა ერთჯერადად 2000 ლარის ოდენობით, თუ თანაგადახდის მოცულობა ბენეფიციარის მხრიდან 5000 ლარს აჭარბებს დახმარება გაეწევა ერთჯერადად 3000 ლარის ოდენობით;</p> <p>ბ) სხვა სიმსივნული დაავადების მქონე პირების სამედიცინო დახმარების გაწევა განისაზღვრება დაუფინანსებელი თანხის 50 % ით არაუმეტეს 800 ლარისა; სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული ან სხვა გამოკვლევები მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის დაფინანსდება თანხის 50% არაუმეტეს 500 ლარისა;</p> <p>გ) ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული ან სხვა გამოკვლევები მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის დაფინანსდება 1200 ლარამდე თანხით ლიმიტის ამოწურვამდე. (საჭიროებისამებრ ერთჯერადად ან მრავალჯერადად ლიმიტის ამოწურვამდე).</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბიკარბონატული ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში 2023 წელს
	06 02 02 04		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ტრანსპორტის ხარჯის თანადაფინანსების ოდენობა განისაზღვრება 130 ლარით, თანხის ჩარიცხვა ხდება ყოველთვიურად მთელი წლის განმავლობაში.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ელექტრო ენერჯის და გაზის გადასახადის დაფინანსების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში 2023 წელს
	06 02 03 01		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		

